ა (ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“-ს

საქმიანობის 2022 წლის 12 თვის ანგარიში

1. სტრუქტურა

ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ შეიქმნა ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 7 დეკემბრის #902 ბრძანების საფუძველზე.

ა (ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ მუშაობას შეუდგა 2018 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული ორგანიზაცია აერთიანებს მომსახურების რამოდენიმე სფეროს, მათ შორის:

1. ქუჩების დაგვა -დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა (მერიისა და სხა ადმინისტრაციული შენობების მოვლა პატრონობისა და დალაგების მომსახურება)
2. გამწვანებითი სამუშაოები, სკვერების მოვლა-პატრონობა
3. ქალაქის ქუჩების გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა.
4. უმეთვალყურეოდ დარჩენილი პირუტყვის კონტროლი
5. მოსაკრებლის ადმინისტრირების განყოფილება
6. საბინაო ფონდის მოვლა -პატრონობა
7. მაწანწალა ძაღლების კონტროლი
8. ქალაქის ქუჩების სარემონტო სამუშაოები
9. ასევე შეიქმნა საქმიანი ეზო, რომელიც სხვა განყოფილებებთან ერთად ახორციელებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სამუშაოებს
10. სანიაღვრე არხებისა და სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა (სერვისების ცენტრს შემოუერთდა 2022 წლის 01 მაისიდან)

2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 352 კაცს (337 კაცი ძირითადი და 15 შტატგარეშე

2. ბიუჯეტი

- ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“-სათვის 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ზემოთხსენებული სამუშაოების და მომსახურებების გასაწევად ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა - 4733700 ლარი. აქედან შრომის ანაზღაურებაზე 2840500ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 2840100 ლარი), შტატგარეშე თანამშრომლების ანაზღაურებაზე - 211500ლ (ათვისებულ იქნა 206200 ლარი), ოფისის ხარჯებზე- 112600ლარი (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 93000 ლარი), რბილი ინვენტარის და უნიფორმის შესაძენად -31500ლ (ათვისებულ იქნა 23100 ლარი), ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლუატაციაზე და მოვლა-შენახვის ხარჯებზე -698400ლ (ათვისებულ იქნა 612900 ლ), სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება -650200 ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 620500ლ), არაფინანსურ აქტივებზე -182300ლ (ათვისებულ იქნა 171900 ლარი), მივლინებაზე -2700ლ (ფაქტიურად ათვისებულ იქნა 2400ლ), სხვა ხარჯებზე (დაზღვევაზე) -4000 ლ (ათვისებულ იქნა 3100 ლარი)

სულ 2022 წლის 12 თვეში გამოყოფილი 4733700 ლარიდან ფაქტიურად ათვისებულ იქნა (ფაქტიური დაფინანსება) 4573200 ლარი.

ასევე საწარმოს საკუთარი შემოსავლებიდან გამოყენებულ იქნა 57105 ლარი (გეგმა 85000ლ)

3. შესყიდვები

საწარმო ყველა სახის შესყიდვებს ახორციელებს საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"-ის შესაბამისად. 2022 წელს ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება 39 მომწოდებელთან -სულ 849163 ლარზე, გამარტივებული ტენდერით 495 ხელშეკრულება 212907 ლარზე, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერით 37 ხელშეკრულება 475037 ლარზე, **სულ ჯამში -1 537107 ლარზე.** ფაქტიურად 2022 წელს განხორციელდა 829935 ლარის შესყიდვა ელ.ტენდერით, 209198 ლარის შესყიდვა გამარტივებული ტენდერით და 445184 ლარის შესყიდვა კონსოლიდირებული ტენდერით, **სულ ჯამში -1 484317ლარი**

4. უსაფრთხოება

საწარმოს თანამშრომლებისთვის საჭიროებისამებრ შეძენილ იქნა პირადი დაცვის (სპეცტანსაცმელი, სამუშაო ხელთათმანები, სპეცფეხსაცმელი, უსაფრთხოების ქამარი) და ჰიგიენური საშუალებები .

ყველა თანამშრომელი თითქმის სრულად არის უზრუნველყოფილი დაკავებული პოზიციის შესაბამისად საჭირო ინვენტარით და მოწყობილობით

შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით საწარმოში დამტკიცებულ იქნა:

1) ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა
2) ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" შრომის უსაფრთხოების გეგმა
3) ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" სახანძრო უსაფრთხოების წესი
4) ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" ელექტრო უსაფრთხოების ინსტრუქცია
5) ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" სამუშაო სივრცეში პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი
6) ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესი
7) ა(ა) იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის" საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

საწარმოს გააჩნია ევაკუაციის გეგმა
ყველა ობიექტი უზრუნველყოფილია ცეცხლმაქრებით და პირველადი დახმარების მედიკამენტებით, პანდემიის პერიოდში თანამშრომლებისთვის რამოდენიმეჯერ იქნა შეძენილი პირბადეები და სადეზინფექციო ხსნარები.
ნაგვის ურნებზე დატანილ იქნა შეაბამისი სტიკერები
ინდივიდუალურად ა(ა)იპ-ში შემავალი განყოფილებების ყველა თანამშრომლისთვის ჩატარებულ იქნა და პერიოდულად ტარდება შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, რომელიც ფიქსირდება ყოველკვარტალური ინსტრუქტაჟის ჟურნალებში.

5. სამოქმედო გეგმა

საწარმოს ყველა განყოფილება მუშაობას ახორციელებს დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ასევე გეგმის გარეთ საწარმოო და საქალაქო აუცილებლობიდან გამომდინარე რეაგირებას ახდენენ ცალკეულ შემთხვევებზე. (მოქალაქეთა განცხადება-შეტყობინებებზე).

ქუჩების გარე განათების, საბინაო ფონდის მოვლა პარტონობის, სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობის და გამწვანების განყოფილებები ძირითადად მუშაობენ როგორც სპეციალისტების ინსპექტირების შედეგად დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად, ასევე მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული შეტყობინებების (რომელიც ფიქსირდება ყოველდღიურად სპეციალურ ჟურნალებში და ოპერატიულად გადაეცემათ შესაბამის სამსახურებს) მიხედვით.

საქმიანი ეზო

ა(ა)იპ-ში ფუნქციონირებს საქმიანი ეზო, რომელიც სხვა განყოფილებებთან ერთად ახორციელებს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულებას.

სახელდობრ, 2022 წლის 12 თვეში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

-კრატასიუკის ქუჩაზე საქმიან ეზოში დაზიანებული ცენტრალური საწყობის საძირკვლის გამაგრება, კედლების ამოშენება-აღდგენა

-ჭავჭავაძისა და ფალიაშვილის ქუჩის კვეთაზე საგზაო ნიშნების დაყენება

-კუნძულის უბნის ზღვის სანაპირო ზოლზე ცხაურების დამზადება-დაყენება

-9 აპრილის ხეივანზე დაზიანებული დასასვენებელი სკამების აღდგენა

-ბოდრელის ქუჩაზე ხიდთან საგზაო ნიშნების დაყენება

-ჭავჭავაძის ქუჩაზე მინი სტადიონის შეკეთება

-მალთაყვაში საგზაო ნიშნის დაყენება

-ქალაქის ტერიტორიაზე დაზიანებული დასასვენებელი სკამების აღდგენა-შეღებვა

-9 აპრილის მემორიალის მოწესრიგება

-ქალაქში „თევზების“ პატარა პარკის მოწესრიგება

-ჭავჭავაძის და მზარელუას ქუჩებზე სტადიონის შეკეთება

-9 აპრილის ხეივანი #32,28,26,24 ს/სახლების ეზოებში დასასვენებელი სკამების შეკეთება -მონტაჟი

-კოსტავას ქუჩა #4,6,8 ს/სახლების ეზოებში და ნიკოლაძის სანაპიროზე დასასვენებელი სკამების შეკეთება -მონტაჟი

-საქმიან ეზოში მოსასვენებელი სკამების შეკეთება/აღდგენა

-საქმიან ეზოში ღია საწყობის მოწყობისთვის სამუშაოების წარმოება

-კოსტავას ქუჩაზე არსებულ კორპუსების ეზოებში მოსასვენებელი სკამების შეღებვა

-9 აპრილის ხეივანზე #28-ის ეზოში საფეხბურთო მოედანზე ლითონის ღობის კონსტრუქციების, მავთულბადის და შესასვლელი კარის შედუღება-აღდგენის სამუშაოების წარმოება

-საქმიან ეზოში საწყობის მობეტონების სამუშაოები

-თ. ბარამიძის ქუჩაზე მდებარე მინი სპორტული მოედნის/სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საბავშვო ატრაქციონების და დაზიანებული მოსასვენებელი სკამების შეკეთება/აღდგენა

-საქმიან ეზოში ღია საწყობის მიმდებარე ტერიტორიაზე განათების ბოძების დამონტაჟება/ჩაბეტონება

-შავი ზღვის ქუჩა #2-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში /სკვერში განლაგებული სკამების და ღობის შეღებვა

-საქმიან ეზოში საყარაულო შენობის ფანჯრის დასამონტაჟებლად და ეზოს ღობის გასაკეთებლად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება

-ჯიქიას ქუჩა #5-ის ეზოში არსებული ცხაურების აღდგენის სამუშაოები

-მე-12 საჯარო სკოლასთან არსებულ სკვერში ღობის შეღებვა და მოსასვენებელი სკამების შეკეთება/აღდგენა

-საქმიან ეზოში საწყობების რბილი სახურავის მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება-მობეტონებითი სამუშაოები ("სტიაშკა"-ს დასხმა/მოჭიმვა/მოხვეწა).

-სამუშაოები ქალაქ ფოთში, ნიკოლაძის სანაპიროს და რეკვავას ქუჩის კვეთასთან არსებული/აღმართული ჯვრის ირგვლივ შემოღობილი კონსტრუქციის აღსადგენად.

-სამუშაოები თავდადებულის ქუჩაზე №7 და №9 საცხოვრებელ კორპუსებს შორის მდებარე მინი საფეხბურთო სტადიონის შესასვლელი კარის აღსადგენად.

-სამუშაოები დიდების მემორიალზე ლითონის ღობის შესადუღებლად/აღსადგენად.

-სამუშაოები საქმიან ეზოში მოსასვენებელი სკამების შესაკეთებლად/აღსადგენად და შესაღებად.

- სამუშაოები ქალაქ ფოთში, 9 აპრილის ხეივანზე მინი სტადიონის ლითონის კონსტრუქციების შესადუღებლად/აღსადგენად.

- სამუშაოები საქმიან ეზოში სარემონტო ბოქსისთვის რკინის კარების გასაკეთებლად.

-9 აპრილის ხეივანზე საბავშვო/სათამაშო მოედანზე სტადიონის შეკეთება/აღდგენის სამუშაოები.

-სამეგრელოს ქუჩაზე №3 ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე სკამების აღდგენის, ასევე, დაზიანებული ჭიშკრის საშემდუღებლო სამუშაოები.

-ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე დაზიანებული/ჩამოვარდნილი კარის შედუღება/აღდგენის სამუშაოები.

-ცენტრალური პარკიდან შემოტანილი დაზიანებული მოსასვენებელი სკამების შეკეთება/აღდგენის სამუშაოები, ასევე აღნიშნული სკამების შეღებვა.

-ქალაქ ფოთში, ბერდიანსკის ქუჩაზე არსებული ბინების ეზოში მოსასვენებელი სკამების შეკეთება/აღდგენის სამუშაოები, ასევე აღნიშნული სკამების შეიღება.

-საქმიან ეზოში სასაწყობე კონტეინერებს შორის ჩამოხურვის/ფანჩატურის/"ნავესების" ამოსავსებად/შესავსებად სამუშაოების წარმოება.

-საქმიან ეზოში ღობის გასაკეთებლად/დასამონტაჟებლად სამუშაოები.

-ქალაქ ფოთში, ჯიქიას ქუჩაზე და ახალ რაიონში არსებულ ბაგა-ბაღებში მოსასვენებელი სკამების შეკეთება/აღდგენის, ასევე აღნიშნული სკამების შეღებვის სამუშაოები.

-საქმიან ეზოში შესრულდა შემდეგი სამუშაოები: ადმინისტრაციული შენობის ფასადის მოპირკეთება, საბავშვო ბაღის სამზარეულო ინვენტარის -ჭურჭლის სარეცხი ნიჟარებისათვის რკინის კონსტრუქციების შეკვრა/შედუღება და შეღებვის სამუშაოები, ქუჩებიდან შემოტანილი დაზიანებული/გატეხილი სანიაღვრე ცხაურების აღდგენა/შედუღება, პლასტიკის სეპარირებისათვის

განკუთვნილი ლითონის („სეტკა“) კონტეინერების და სარემონტო ბოქსის რკინის კარების გახეხვა, წყალგაყვანილობის მონტაჟი

გამწვანების სამსახური

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში -2022 წლის 12 თვეში ქალაქის მასშტაბით გაითიბა მწვანე საფარი- როგორც ქუჩებში, ასევე სკვერებსა და პარკებში- სულ 2240738 კვ.მ, მოიჭრა 67 ძირი ხე, დამუშავდა და გატანილ იქნა 66 ძირი ხე, ფორმირებულ იქნა 477 ძირი ხე-მცენარე, 1497 ძირი და 500 გრძ.მ ბუჩქი, 90 ძ ალეანდრა და 3ძ აგავა, 175 პალმა. გაიფხიკა 10100 კვ.მ ქვაფენილი, გაიკაფა ტყე-პარკი 458500 კვ.მ. ხეების მოჭრა, გადაბელვა, დამუშავება ხდება ძირითადად მოსახლეობის მოთხოვნა-განცხადების საფუძველზე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვით და სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით. კირით შეთეთრებულ იქნა 5059 ძირი ხე. ღია გრუნტში დარგულ იქნა სანერგეში დაკალმებული და ტყე-პარკში მოძიებული 2109 ძირი სხვადასხვა სახის ნერგები, ხოლო ქალაქში 44 ძირი ბუჩქი, 3ძირი ხე, 20ძირი მაგნოლია, 10ძირი ირმის რქა, 10ძირი იაპონური ნეკერჩხალი. გამოიცვალა 361 ცალი სკამის ლარტყა, შეიღება 311 სკამი და 406 სკამის ლარტყა.

ყოველდღიურად წარმოებს სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება, საჭიროებისამებრ ნარგავების ირგვლივ ნიადაგის შემობარვა და სავალი გზების ფილების ნიჩბებით გაფხეკა-გაწმენდა

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2022 წელს გამოყოფილ იყო 611100ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 602600ლარი, (ფაქტიური ხარჯი -606606 ლარი).

ქუჩების დაგვა -დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის განყოფილება

ქალაქის ქუჩების დაგვა/დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების სპეცტექნიკით გატანა წარმოებს დამტკიცებული გრაფიკის სრული დაცვით ყოველდღიურად. გარდა ამისა სუფთავდება ქალაქში შექმნილი ხელოვნური ნაგავსაყრელებიც. სანაგვე კონტეინერების დაცლა ხდება დღეში 2-ჯერ, საჭიროების შემთხვევაში სრულდება დამატებითი რეისებიც. კარდაკარ შემოვლით მოსახლეობიდან ნაგავი გაიტანება დღეში 1- ჯერ (ერთიდაიგივე ქუჩიდან ყოველ მე-2 დღეს)

თვითმცლელების საშუალებით კი ხდება ქალაქის სხვადასხვა უბნიდან საწარმოო, სამშენებლო თუ სხვა სახის ნარჩენების(ხის ტოტები, უვარგისი საოჯახო ავეჯი, ტექნიკა და სხვა) გატანა.

ყოველდღიურად დღეში 2-ჯერ (ცენტრალური ქუჩები დღეში 3-ჯერ) ხდება 41 ქუჩის დაგვა-დასუფთავება ფართით -372621კვ.მ. გარდა ამისა საჭიროებისამებრ წარმოებს დაგვა-დასუფთავების სამუშაოები ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა უბნებზე.

ქალაქში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 760 ურნა.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2022 წელს გამოყოფილ იყო 1834800ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 1732500ლარი. (ფაქტიური ხარჯი-1540965ლარი)

საბინაო ფონდი

საბინაო ფონდის და მოვლა-პატრონობის განყოფილება ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში) და სისტემატიურად კონტროლდება შესრულების მიმდინარეობაც. ყოველთვიურად წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოების ნუსხას თან ერთვის ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ სამუშაოების ნამდვილად შესრულების

დამადასტურებელი აქტები სხვადასხვა უბნებში. იანვარ-დეკემბრის პერიოდში შემოსულია 823 წერილობითი განაცხადი, რომელთაგან დაკმაყოფილებულია 823, გარდა შემოსული განცხადებებისა სამსახურის მიერ სისტემატიურად ხდება საცხოვრებელი მასივების ტერიტორიების დათვალიერება-ინსპექტირება და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიული რეაგირება. ძირითადად შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: ეზოებში საკანალიზაციო ჭების, ამონიჩბვის ორმოების და საერთო სარგებლობის საპირფარეშოების გაწმენდა სპეცმანქანით, სარდაფებში, ეზოებში და სადარბაზოებში საკანალიზაციო ქსელის შეცვლა, გასუფთავება და მონტაჟი და სხვა. სახელდობრ, 2022წელს შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები:

- გაიწმინდა საკანალიზაციო ქსელი და ჭები -545. მათ შორის 534 ს/სახლში (ერთი და იგივე საცხოვრებელ სახლში სამუშაოები სრულდება რამდენიმეჯერადად), 7 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში და 4 -მუნიციპალიტეტის მერიაში

- ეზოში გაიწმინდა ს/სარგებლობის საკანალიზაციო ამონიჩბვის ორმო -181ც, მათ შორის 28ცალი 28 საცხოვრებელ სახლში, 3ც - 3 სკოლამდელ დაწესებულებაში, 2ც ქალაქის მუნიციპალიტეტში, 1ც საჯარო სკოლაში, 147ც -კერძო მომსახურება

-ეზოებში გაიწმინდა საერთო სარგებლობის საპირფარეშო -14ც -14 საცხოვრებელ სახლში

-საცხოვრებელი სახლის ეზოებში დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა -204გრძ.მ - 17 საცხოვრებელ სახლში

-საცხოვრებელი სახლის ეზოებში დამონტაჟდა ფასონური ნაწილები -60 ცალი - 10 საცხოვრებელ სახლში

-საცხოვრებელი სახლის ეზოში შეკეთდა და მოპირკეთდა 26 ცალი საკანალიზაციო ჭა, მათ შორის - 25 ცალი , 14 საცხოვრებელ სახლში და 1ცალი- სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებაში

-საცხოვრებელი სახლების ეზოებში დამონტაჟდა 61 ცალი საკანალიზაციო ჭის რკ/ბეტონის თავსახურები. მათ შორის - 58 ცალი 19 საცხოვრებელ სახლში, 1ც სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებაში და 2ცალი ასოციაცია „თავისუფალი თაობა“-ში

-1 საცხოვრებელი სახლის ეზოში დამონტაჟდა საკანალიზაციო ჭის პოლიმერის 1ცალი თავსახური

-2 საცხოვრებელი სახლის ეზოში აშენდა და მოპირკეთდა საკანალიზაციო ჭა-2ც

-14 საცხოვრებელი სახლის ეზოში მოისხა ბეტონის საფარი 26ს/სახლში

-1საცხოვრებელ სახლში დამონტაჟდა საწვიმური მილები -6 გრძ.მ

-2 საცხოვრებელი სახლის ეზოში დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, გასუფთავდა და აეწყო

-3 საცხოვრებელი სახლის სადარბაზოდან ეზოს ჭამდე დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა -17გრძ.მ

-13 საცხოვრებელ სახლში სარდაფიდან ჭამდე გამოიცვალა საკანალიზაციო სისტემა 87,9გრძ.მ

-9 საცხოვრებელ სახლში სარდაფიდან ეზოს ჭამდე გაიწმინდა ლითონის ჩხირით საკანალიზაციო სისტემა

-2 საცხოვრებელსახლში სარდაფიდან ეზოს ჭამდე დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, გასუფთავდა და აეწყო

-31 საცხოვრებელ სახლში სარდაფიდან ამოიტუმბა წყალი და ფეკალური მასა -8900 $მ^3$

-სარდაფში დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა -418 გრძ.მ. მათ შორის 402 გრძ.მ 68 საცხოვრებელ სახლში და 16 გრძ.მ -2 სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებაში

-სარდაფში დამონტაჟდა ფასონური ნაწილები 498ცალი. მათ შორის 488 ცალი 92 საცხოვრებელ სახლში და 10ც -2 სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებაში

-1 საცხოვრებელი სახლის სარდაფში დამონტაჟდა საწვიმური მილები -9 გრძ.მ

-სარდაფში დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, გასუფთავდა და აეწყო -59საცხოვრებელ სახლში და 1სკოლამდელ სასწავლო დაწესებულებაში

-3 საცხოვრებელი სახლის სარდაფში გამოტეხილ იქნა საჰაერო სისტემა -10ცალი

-1 საცხოვრებელი სახლის სარდაფში შეკეთდა საწვიმური სისტემა

-საცხოვრებელი სახლის სარდაფიდან ამოიტუმბა წყალი და ფეკალური მასა სპეც.მანქანით-3 რეისი

-1 საცხოვრებელი სახლის სარდაფში გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა ლითონის ჩხირით

-2 საცხოვრებელ სახლში სართულებსშუა ეზოს საკანალიზაციო ჭამდე დამონტაჟდა 42 გრძ.მ საკანალიზაციო სისტემა

-9 საცხოვრებელ სახლში სართულებსშუა დამონტაჟდა საკანალიზაციო სისტემა -46 გრძ.მ

-11 საცხოვრებელ სახლში სართულებსშუა დამონტაჟდა ფასონური ნაწილები -106 ცალი

-3 საცხოვრებელ სახლში სართულებსშუა დაიშალა საკანალიზაციო სისტემა, გასუფთავდა და აეწყო

-5 საცხოვრებელ სახლში სართულებსშუა ლითონის ჩხირით გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა

-1 საცხოვრებელ სახლში სართულებსშუა ეზოს საკანალიზაციო ჭამდე დამონტაჟდა ფასონური ნაწილები -16 ცალი

-1 ს/სახლში და ნაბადის მუნიციპალიტეტში დამონტაჟდა შიდა საკანალიზაციო სისტემის ფასონური ნაწილები 18ცალი

-2 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში გაიწმინდა ლითონის ჩხირით შიდა საკანალიზაციო სისტემა

-2 საცხოვრებელ სახლში შიდა საკანალიზაციო სისტემა დაიშალა, გასუფთავდა და აეწყო

-შიდა წყლის სისტემა დამონტაჟდა -27 გრძ.მ -მუნიციპალიტეტის მერიაში, ადმინისტრაციულ შენობაში, მალთაყვის ზღვის სანაპიროზე, ნაბადის მუნიციპალიტეტში

-შიდა წყლის სისტემის ფასონური ნაწილები დამონტაჟდა 142 ცალი -მუნიციპალიტეტის მერიაში, ადმინისტრაციულ შენობაში, მალთაყვის ზღვის სანაპიროზე, არქიტექტურის განყოფილებაში და კუნძულის მუნიციპალიტეტში

-2ს/სახლში შეკეთებულ იქნა არხის ქვეშ გამავალი მილი

-სახურავის წყალსაწრეტი სისტემის ძაბრი გამოიცვალა -26ცალი -13 საცხოვრებელ სახლში

-წყალსაწრეტი სისტემის საწვიმური ღარი გამოიცვალა 370 გრძ.მ -15საცხოვრებელ სახლში

-წყალსაწრეტი სისტემის საწვიმური მილები გამოიცვალა 223 გრძ.მ -21 საცხოვრებელ სახლში

-წყალსაწრეტი სისტემის ფასონური ნაწილები გამოიცვალა -111ცალი -18 ს/სახლში

გარდა ძირითადი სამუშაოებისა განყოფილებამ 10 თვეში შეასრულა დამატებით კერძო სამუშაოები (ამონიჩბვის ორმოს ამოწმენდა) კერძო პირებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული განაცხადების საფუძველზე და ამ გზით საწარმოს ანგარიშზე შემოტანილ იქნა თანხა 17526 ლარის ოდენობით.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2022 წელს გამოყოფილ იყო 276300 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 268100ლარი (ფაქტიური ხარჯი -270133ლარი)

გარე განათება

ქუჩების გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის განყოფილებაც ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული განცხადება-შეტყობინებების საფუძველზე (რომელიც ყოველდღიურად ფიქსირდება სპეციალურ ჟურნალში). 2022წელს დაფიქსირებული გვაქვს მხოლოდ **48** შეტყობინება, რაც გამოწვეულია იმით, რომ სამუშაოები ძირითადად ხორციელდებოდა განყოფილების სპეციალისტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დაზიანებების ოპერატიულად აღმოსაფხვრელად და ქალაქში გარე განათების ქსელი მუშაობდა გამართულად.

ძირითადად სრულდებოდა შემდეგი სამუშაოები: საჭიროებისამებრ გარე განათების სანათების შეცვლა, პროჟექტორებისა და ელექტრო-გამანაწილებელი კარადების შეკეთება/შეცვლა, დაზიანებული ლითონის ბოძების აღდგენა ან ახლით შეცვლა, სადენების შეერთების შემოწმება, კაბელის იზოლაციის წინაღობების შემოწმება, კაბელის დაზიანებული ნაწილების შეცვლა, ქსელში ძაბვისა და დატვირთვის შემოწმება, დენკვეთების დარეგულირება, კონტაქტორების დარეგულირება-შეცვლა, დამჭერების გადაჭერა, ფოტო-რელეების რეგულირება -შეცვლა და სხვა. გარდა განცხადება-შეტყობინებებისა სამუშაოები ასევე ხორციელდება სპეციალისტების მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დაზიანებების აღმოსაფხვრელად.

სახელდობრ, გამოცვლილ იქნა:

-დროსელი -13 ც

-სოდიუმის ნათურა -8ც

-მაგნიტური გამშვები -20ც

-ელ.კაბელი-4189,5 გრძ.მ

-ანკერული დამჭერი -130ც

-კაბელის სამაგრი სიპჩამჭერი -890ც

-ელ.გამთიშველი-52ც

კაბელის სამაგრი ჩამჭერი -288ც

-ლედის სანათის ჩიპი-269ც

-ლედის სანათის დრაივერი-277ც

-ელ.ვაზნა-39ც

-ლედის პროჟექტორი-30ც

-განათების ბურთი -60ც

-ელ. გამანაწილებელი კარადა -31ც

-განათების ბოძი მეორადი-6ც

-მეტალოჰალოგენური ნათურა -3ც

-გოფრირებული მილი-994გრძ.მ

-ეკონათურა -281ც

-თვითმჭრელი ხრახნი -238ც

-ელ.როზეტი-10

-ელ.ავტომატი -28

-ლედის სანათი -41ც

-შუალედური კაბელის დამჭერი-318

-კლემნიკი-17

-პლასტმასის ხამუთი -4

-გარე განათების სანათის პლატა -23

-ლედსანათი ოვალური -18

-სანათი წერტილოვანი ოთხკუთხედი-43

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2022 წელს გამოყოფილ იყო 206300 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 205 400ლარი (ფაქტიური ხარჯი -207265 ლარი)

დასუფთავების მოსაკრებელის ადმინისტრირების განყოფილება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი ხელშეკრულებების რაოდენობა შეადგენს 810-ს

დაანგარიშდა დავალიანებები ფიზიკური პირების (ადრე არსებული ბაზის გამოყენებით), დაანგარიშების პროცესი და ბაზის განახლება -ცვლილებები მიმდინარეობს ამ ეტაპისთვისაც, ყოველთვიური დარიგების რეჟიმში მოექცა შესაბამისი სააბონენტო ქვითრები.

აბონენტად დარეგისტრირებულ მოქალაქეებს ქვითარზე აღნიშნული დავალიანების გარეშე, საკუთარი სააბონენტო კოდის გამოყენებით შეუძლიათ მათზე რიცხული დავალიანების ნახვა ყველა გადახდის აპარატში, ბანკებსა და მათზე მიბმულ სპეციალიზირებულ ინტერნეტ პროგრამებში და შესაბამისად გადასახადის გადახდაც, რაც გარკვეულ წილად სერვისსაც აუმჯობესებს და გვაქვს პროგნოზი თანხების შემოსულობების ზრდის ტენდენციისაც.

დღემდე მიმდინარეობს შეხვედრები მოსახლეობასთან და ინტენსიური თანამშრომლობა იურიდიულ პირებთან.

ერთ სულ მოსახლეზე დასუფთავების გადასახადი შეადგენს 50 თეთრს, რამდენიმე სულიან ოჯახზე - არაუმეტეს 2 ლარისა.

იურიდიული პირების დასუფთავების გადასახადის გაანგარიშება ხდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 ივლისის დადგენილება #18/24 -ის შესაბამისად.

2022 წელს ამოღებულია 617941 ლარი. აღნიშნული თანხიდან ფიზიკური პირებზე მოდის 32271 ლარი, ხოლო იურიდიულ პირებზე 585670 ლარი.

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2022 წელს გამოყოფილ იყო 126600 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 126300ლარი (ფაქტიური ხარჯი -125706 ლარი)

უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილება

2022 წელს უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების კონტროლის განყოფილების თანამშრომლები ძირითადად მუშაობდნენ ქალაქის მასშტაბით აკრძალული ტერიტორიებიდან მოხეტიალე ცხოველების განდევნაზე. უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატიური მონიტორინგისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად მოხეტიალე პირუტყვის ქალაქში დაფიქსირების შემთხვევების რაოდენობამ ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად იკლო.

აღნიშნულ პერიოდში სულ დაფიქსირდა პირუტყვის ხეტიალის 79 შემთხვევა. შედგენილ იქნა სამართალდარღვევის 79 ოქმი -137 სულ პირუტყვზე. ცხოველთა მეპატრონეების მიერ საწარმოს ანგარიშზე შემოტანილ იქნა 5135 ლარი, ხოლო ხაზინაში- ჯარიმის თანხა -1980 ლარი

რაც შეეხება მიუსაფარი მაწანწალა ძაღლების კონტროლს, მიმდინარე წლის იანვარ-დეკემბერში ინდ.მეწარმე „ლერი ჩხარტიშვილის“ მიერ (2022 წლის 14 თებერვალს ჩვენს საწარმოსთან გაფორმებული #88 ხელშეკრულების საფუძველზე) განხორციელდა 360 ერთეული მიუსაფარი ძაღლის დროებითი იზოლირება-გადაყვანა, იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია და დაბრუნება პირვანდელ ლოკაციაზე (სპეციალური თავშესაფარის არქონის გამო ძაღლების მხოლოდ დროებითი იზოლაცია ხდება)

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2022 წელს გამოყოფილ იყო 155100 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 153300ლარი (ფაქტიური ხარჯი -160317 ლარი)

ქუჩების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის განყოფილება

აღნიშნული განყოფილების მიერ 2022წელს ქალაქში დაგრეიდერებულ იქნა 523085 კვ.მ გზის საფარი

ქალაქის ქუჩების და ს/სახლების ეზოების მოსახრეშად გამოყენებულ იქნა 2632 კუბ.მ ღორღი (ხრეში)

გარდა ამისა, განყოფილების თანამშრომლების მიერ ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები ქუჩების კეთილმოწყობის თუ დასუფთავების მიზნით, განყოფილება აქტიურად თანამონაწილეობდა საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის განყოფილებასთან ერთად ს/სახლების წყალსაწრეტი სისტემის შეცვლა-მონტაჟი-შეკეთების, სტიქიისგან დაზიანებული სახლების სახურავის შეკეთების და გამწვანების განყოფილებასთან ერთად სტიქიის (ძლიერი ქარის) შედეგების აღმოფხვრის (წაქცეული ხეების დამუშავება გატანა) სამუშაოებში

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2022 წელს გამოყოფილ იყო 467700ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 464800ლარი (ფაქტიური ხარჯი -468132 ლარი)

სანიაღვრე არხებისა და სატუმბი სადგურების მოვლა-პატრონობა (2022 წლის 01 მაისიდან შემოუერთდა სერვისების ცენტრს)

ყოველი თვის დასაწყისში ხდება სამუშაო ჯგუფის მიერ ყველა სატუმბი სადგურის შემოვლა-დათვალიერება, გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა. სატუმბ სადგურებზე გრაფიკის შესაბამისად წარმოებდა მორიგეობა. ხორციელდებოდა სატუმბი აგრეგატების, საკონტროლო მზომი სასიგნალო მოწყობილობების, ძალოვანი ტრანსფორმატორების, მართვის ფარების და გამშვები აპარატურების მუშაობაზე მუდმივი მეთვალყურეობა ექსპლუატაციის დადგენილი ნორმებით. ყოველდღიური მორიგეობის შესახებ ჩანაწერები შეიტანება სპეციალურ ჟურნალებში

ნ.ნიკოლაძის სანაპიროზე #4 სატუმბ სადგურში შესრულდა #2-110კვტ ტუმბოს კონტაქტორის რემონტი, 37 კვტ-იანი ავანკამერის გაწმენდა ნატანი მასისაგან, ტუმბოს პროფილაქტიკური სამუშაოები-შეიცვალა ტუმბოს სატენი.

მშვიდობის ქუჩაზე ##109,113-ში შესრულდა #1,#2,#3 75კვტ-იანი ტუმბოების რემონტი და პროფილაქტიკური სამუშაოები, შეკეთდა სამორიგეო ჯიხური

გაითიბა და მოწესრიგდა სატუმბი სადგურების მიმდებარე ტერიტორიები

2022 წლის მაის-დეკემბრის თვეებში ამოწმენდილ იქნა სანიაღვრე არხები -219442 გრძივი მეტრი. დაიგო 11 ერთეული ბეტონის ფილა - 2 ერთეული კოსტავას ქუჩაზე და 2 ერთეული გორკისა და ჩეხოვის ქუჩებზე, 1ც გრიბოედოვის ქუჩაზე, 1ც-მშვიდობის ქუჩაზე, 1ც-მელიქიშვილისა და დიდგორის ქუჩების კვეთაზე, 3ცალი არსენას ქუჩაზე (##5,9,55), 1ცალი- ბარათაშვილის ქ #97-ში

აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად განყოფილებაზე 2022 წლის მაის-დეკემბერში გამოყოფილ იყო 571200ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 555700ლარი (ფაქტიური ხარჯი -562727 ლარი)

ადმინისტრაციული ხარჯებისათვის 2022 წელს გამოყოფილ იქნა 484600 ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა464500ლარი. (ფაქტიური ხარჯი -377102 ლარი)

სულ 2022 წელს გეგმით გათვალისწინებულ იყო 4733700 ლარი. ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 4573200ლარი (ფაქტიური ხარჯი ცვეთა-ამორტიზაციის ჩათვლით-4353183 ლარი)

2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება იყო 15226 ლარი (აღნიშნული თანხები მოდის ორგანიზაციებზე-შპს-ეებზე, რომელთაც ვუწევთ მომსახურებას დამატებით დადგმულ სანაგვე კონტეინერებზე, რომლებზეც მიღება-ჩაბარების აქტები და საგადასახადო დოკუმენტები ჩვენს მიერ იგზავნება მიმდინარე თვის ბოლოს და ჩამორიცხვა ხდება მომდევნო თვეში), კრედიტორული დავალიანება 121252ლ (მათ შორის 84229,58 ლარი გარდამავალი თანხები), -სხვადასხვა სახის მასალების და მომსახურებების ღირებულება -რომლებზეც ანგარიშფაქტურები გვეგზავნება ყოველი მომდევნო თვის 10-15 რიცხვამდე და შესაბამისად გადახდაც ხორციელდება მომდევნო თვეში), მატერიალურ ფასეულობათა ნაშთი საწყობსა და განყოფილებებში 441309 ლარი, <u>მათ შორის 354563ლ საწყობში</u> (46122ლარი გარე განათების მასალები, 179610ლარი ავტონაწილები, 6623ლარი სპეც ტანსაცმელი, 19588 ლარი საკანალიზაციო მასალები, 90166ლარი სამეურნეო და სხვადასხვა - 12454 ლარი - გამწვანების და ქუჩების რემონტის განყოფილების მასალები, სხვადასხვა ინვენტარი და სხვა) <u>და 86746 ლარი განყოფილებებში</u> (მასალები, ნაწილები, სპეცტანსაცმელი, ინვენტარი და სხვა)

არსებული პრობლემები და ინიციატივები

ძირითად პრობლემას ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის მუშაობაში წარმოადგენს სპეცტექნიკის დეფიციტი და არსებული ტექნიკის გაუმართავი მდგომარეობა. აღნიშნულის გამო ხშირად ფერხდება განყოფილებების მიერ ვალდებულებების თუ მოცემული დავალებების ოპერატიულად შესრულება. ძალიან დიდი თანხები ჯდება გაუმართავი და მოძველებული სატრანსპორტო საშუალებების სისტემატიური შეკეთება/რემონტი. მ/წლის ოქტომბრის თვეში საწარმომ შეისყიდა 2 ერთეული მცირეტვირთამწეობის -1,2-დან 3,5-მდე წარმადობის სატვირთო თვითმცლელი ავტომობილი ჯამური ღირებულებით 97808ლარი დღგ-ს ჩათვლით. ასევე დიდი თანხები იხარჯება სპეცტექნიკის -ამწე ჟირაფის, ექსკავატორის, გრეიდერის და სხვა- იჯარა. კარგი იქნება თუ მომავალში ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, შესაძლებლობის შემთხვევაში, განიხილავს საკითხს ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე, გამოსაყენებელი ავტოსატრატრასპორტო საშუალებების (სპეცნაგავმზიდი, ამწე-ჟირაფი, გრეიდერი, ექსკავატორი, ევაკუატორი და სხვა) შესყიდვაზე, რაც მნიშვნელოვან ეფექტს მოუტანს ქალაქს სამუშაოების ოპერატიულად და ხარისხიანად შესრულების თვალსაზრისით და დაიზოგება რემონტსა და იჯარაზე მიმართული საბიუჯეტო თანხები. მათ სწორ ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე კი პასუხისმგებლობას აიღებს სერვისების ცენტრი.

ქალაქში მოხეტიალე მსხვილფეხა პირუტყვის დროებითი იზოლირებისათვის საწარმომ მოაწყო ცხოველთა სპეცსადგომი, მაგრამ მათი სადგომამდე გადაყვანის სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო ეფექტური იქნება თუ აღნიშნული საქმიანობისთვის შეძენილ იქნება შესაბამისად აღჭურვილი ტექნიკა.

მთელი ქალაქის მასშტაბით ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს მაწანწალა ძაღლები. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ხშირია მოქალქეების დაკბენის შემთხვევები. ძალიან მაღალია აღნიშნულ საკითხზე მოსახლეობის მომართვიანობა და პრეტენზიები. ერთადერთი, რაც ჩვენ შეგვიძლია, ვაკეთებთ იმას, რომ მოქალაქეებიდან მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე ჩვენი კონტრაქტორი ფირმის მიერ ხდება მითითებული ლოკაციებიდან ძაღლების დროებით ქალაქგარეთ გადაყვანა, თანმდევი სამედიცინო მომსახურების (იდენტიფიკაცია საჭდით, დეჰელმენტიზაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია/კასტრაცია) გაწევა და სპეციალური თავშესაფრების არარსებობის გამო მათი კვლავ უკან- პირვანდელ ლოკაციაზე დაბრუნება, რაც საბოლოო ჯამში პრობლემის მოგვარების უზრუნველყოფის საშუალებას ნამდვილად არ გვაძლევს. ამდენად ეს საკითხი საჭიროებს ზემდგომ ინსტანციებში დაყენებას.